

F-171
1987



ISSN 0206-2674

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ბრძანებათა და ინსტრუქციათა

ბ რ ე ბ უ ლ ი

2

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი. — 1987 — ТБИЛИСИ

რედაქტორი ზ. ალადაშვილი

РЕДАКТОР З. АЛАДАШВИЛИ

ტექნიკური ა. ბაპურაძე
Техредактор А. БАКУРАДЗЕ

კორექტორები: ლ. დოლიძე,
Корректоры: Л. ДОЛИДЗЕ,
ბ. ღვალისვილი
Б. ДВАЛИШВИЛИ

გადაეცა ასაწყობად 23.2.87 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.4.87 წ.;
ანაწყობის ზომა 6¹/₄×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 3,0
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,62

შეკვეთა № 142

უე 10945

ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе, № 7



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება

ჩემოთნობის საბაზო სკოლებსა და სანატორიული ტიპის
სკოლა-ინტერნატებში მუშაობის უმადლოდ გაუმჯობესების
ლონისძიებათა შესახებ

27 იანვარი 1987 წელი

1695-7

კოლეგია აღნიშნავს, რომ მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში განათლების სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებდა რესპუბლიკის საკურორტო ადგილებში განლაგებული 8 სანატორიული ტიპის ინტერნატული დაწესებულება 1660 ადგილით, მათი უმეტესობა გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს სხვადასხვა სნეულებით დაავადებისა-კენ მიდრეკილების მქონე და მძიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრებ სუსტი ჯანმრთელობის ბავშვთა შორის, და საერთო გამაჯანსაღებელ მკურნალობასა და სპეციფიკურ ქიმიოპროფილაქტიკასთან ერთად, ძირითადად წარმატებით ართმევს თავს ზოგადსაგანმანათლებლო ამოცანების განხორციელებას, მაგრამ ამასთანავე მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები და დარღვევებია, როგორც სასწავლო-აღმზრდელობით, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, მოსწავლეთა კონტინენტის შერჩევის, სამედიცინო მომსახურების, კვების ორგანიზაციისა და სანტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ზომების შედეგად გასულ წელს ცალკეული რაიონის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება გამოიჩინა სკოლა-ინტერნატებისადმი, რის შედეგადაც ერთგვარად გაუმჯობესდა მათი მატერიალური ბაზა (წალენჯიხის და ქობულეთის რაიონები), არსებული საერთო ვითარება მაინც მძიმეა, ხოლო ზოგან მოუთმენელიც. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის, სკოლა-ინტერნატში, რომლის საძინებელი კორპუსი შეგუებული ტიპისაა და სიძველისა და მოუვლელობის გამო ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო მის პირველ სართულზე მოთავსებული პრიმიტიული სამზარეულო გარკვეულ საფრთხეს უქმნის აღსაზრდელთა სიცოცხლეს. ინტერნატე განიცდის მაგარი და რბილი ინვენტარის მწვავე ნაკლებობას. ავარიულ მდგომარეობაშია სასწავლო სახელოსნო და სამეურნეო კორპუსი. მთლიანად შესაცვლელია სკოლის შენობის სახურავი. ცენტრალური გათბობის სისტემის არსებობის მიუხედავად სკოლა კვლავ დროებითი ღუმელებით თბება.

სსრ (გ.ს.მ.)
სამინისტრო

სკოლა-ინტერნატის ასეთი სავალალო მდგომარეობა იმითაც (ამხ. პირობებულო, რომ რაიონის განათლების განყოფილება (ამხ. თ. ადამია) დახმარების ნაცვლად სახელმწიფოს მიერ დადგენილი კუთვნილი დაფინანსებითაც კი არ უზრუნველყოფს მას. წლების განმავლობაში ხარჯთაღრიცხვაში არაფერია გათვალისწინებული მაგარი ინვენტარის შესაძენად, ხოლო გასულ წელს 30 ათასი მანეთი არ გადაეცხა ინტერნატს.

3-4 წლის წინათ ჩატარებული კაპიტალური რემონტის მიუხედავად, კვლავ არადაამაკმაყოფილებელი მატერიალური ბაზა აქვს ბორჯომის რაიონის პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმს (განათლების განყოფილების გამგე ამხ. ზ. ქურდაძე, დირექტორი შ. ტაბატაძე). ავარიულ მდგომარეობაშია სამეურნეო და თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლები, 5 წელია თავი ვერ მოება ინტერნატში მიტანილი 2 ფინური სახლის აწყობას. თუმცა უყურადღებოდ დარჩენილი თანამშრომლების მძიმე მდგომარეობა აშკარა საფრთხის ქვეშ აყენებს სკოლა-სანატორიუმის კადრების შენარჩუნების ისედაც მწვავე საკითხს. წლების განმავლობაში გამოუყენებელი და გაპარტახებულია თავიდან მოუფიქრებლად აშენებული და საექსპლოატაციოდ უვარგისი სპორტდარბაზის კაპიტალური შენობა. სკოლა-სანატორიუმს აკლია მაგარი და რბილი ინვენტარი, სასწავლო-თვალსაჩინო მოწყობილობა, სასადილოსა და სამზარეულოს აღჭურვილობა.

გართულდა ამავე რაიონის ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ამხ. თ. სირაძე) მდგომარეობა 1983 წელს მისთვის პროფილის შეცვლისა და მომწოდებელ ორგანოთა დაავადების მქონე ბავშვთა რაიონული დაქვემდებარების ინტერნატად გადაკეთებით, რადგანაც ეს მოხდა სრულიად მოუმზადებლად, ხოლო შემდეგ აღარავის უზრუნია მისი პროფილის შესაბამისი სამკურნალო მატერიალური ბაზის შესაქმნელად. პირიქით, რაიონის განათლების განყოფილება კუთვნილ თანხებსაც კი არ აძლევდა ინტერნატს.

ცუდი მდგომარეობაა მცხეთის რაიონის საგურამოს სასუნთქი ორგანოების ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვთა რესპუბლიკურ სანატორიულ სკოლა-ინტერნატშიც (დირექტორი ამხ. ლ. კორტი), რომელიც 1983 წლის 1-ლი სექტემბრიდან გაიხსნა საგურამოს ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის ბაზაზე ისე, რომ წინასწარ სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო აქაც არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი სოლიდური თანხა — 296 ათასი მანეთი — უკვე ათვისებულია, საძილე კორპუსის I და II სართულზე სამუშაო დღესაც დაუმთავრებელია, დაუმონტაჟებელია ძვირად ღირებული სამედიცინო ტექნიკა, არ მუშაობს იზოლიატორი, აბანო, წესრიგშია მოსაყვანი კვების ბლო-



კის სანიტარიული კვანძები, სამაცივრო დანადგარები, აკლიათოპი და რბილი ინვენტარი.


მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ქობულეთის, წალენჯიხისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატებში გარკვეული მუშაობა ჩატარდა მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად, ჯერ კიდევ ბევრი რამეა მოსაგვარებელი, განსაკუთრებით საჭირო რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარის დროულად შეძენისა და მოვლა-პატრონობის საკითხის გადასაჭრელად, სამედიცინო-გამაჯანსაღებელი მუშაობის ღონისა და ქმედითობის ასამაღლებლად.

კოლეგია აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში არსებულ პოზიტიურ ძვრებთან ერთად ზოგიერთ სკოლა-ინტერნატში კვლავ აღინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები სასკოლო რეფორმის შესაბამისად სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმართვის, საქმეში, რაც ცუდი მატერიალური ბაზის და ცვალებადი კონტინენტის გავლენის გარდა, გაპირობებულია იმით, რომ მთელი რიგი სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი და ცალკეული აღმზრდელ-მასწავლებელი მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას, ნაკლებად ზრუნავს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის თანამედროვე ნოვატორული მეთოდების ათვისება-დანერგვისათვის, შეგუებულია ნაკლოვანებებს. ბევრგან ცუდადაა დაყენებული სასწავლო დღის მეორე ნახევარში აღმზრდელობითი მუშაობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო გორდის, წალენჯიხის, საგურამოს, ტაშისკარის, ახალდაბის სკოლა-ინტერნატებში დაბალია მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი.

სატყეო და სანატორიული სკოლა-ინტერნატების უმრავლესობაში დაბალ დონეზეა სამედიცინო-გამაჯანსაღებელი მუშაობა, ხშირად ირღვევა დებულებითა და ინსტრუქციებით გათვალისწინებული მოთხოვნები, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და წესები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სწავლისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გონივრულ შეხამებას. სკოლა-ინტერნატების თითქმის არ გრძნობენ რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებების მზრუნველობას, კონტროლსა და დახმარებას, უფრო მეტიც, ზოგან დაუკომპლექტებელია სამედიცინო პერსონალი, ხშირია ექიმების ცვლა და ნახევარ განაკვეთზე მუშაობის შემთხვევები. ცუდია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აკლიათ მედიკამენტები.


კვლავ სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევებია ბავშვთა კვების ორგანიზაციაში. ინტერნატის მესვეურთა დაუდევრობისა და შემგუებლობის გამო ხშირად არაა ისეთი აუცილებელი პროდუქტები, როგორცაა თევზეული. ნატურალური რძე და რძის ნაწარმი, კვერცხი, მცენარეული ზეთი და განსაკუთრებით ბოსტნეული, ხილი და



წვენები; ამის გამო დარღვეულია კერძების ნაირფეროვნებისა და ყუათიანობის დადგენილი ნორმები და აუთვისებელი რჩება ბავშვისათვის გათვალისწინებული დღიური ხარჯებიც (ტაშისკარის, საგურამოს, პატარა ცემის ინტერნატები). ამ ხრივ უაღრესად ცუდი მდგომარეობაა გორდის სანატორულ სკოლა-ინტერნატში, სადაც კვებისათვის დადგენილი 1,70 კაპიკის ნაცვლად ცალკეულ დღეებში 1,10 კაპიკსაც კი ვერ ითვისებენ და გასული წლის სამუალო დღიურმა და-ნახარჯმა მხოლოდ 1,46 კაპიკი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ შესაძ-ლებლობის მიუხედავად, თითქმის ყველა ინტერნატში მეტ-ნაკლებად ფაქტობრივად გამოუყენებელია დამხმარე მეურნეობების დიდი შესაძ-ლებლობები საერთოდ, და კვების რაციონის გაზრდისა და გამრავალ-ფეროვნებისათვის — განსაკუთრებით.

კოლეგია ყოვლად მოუთმენლად თვლის იმ ფაქტს, რომ განათლე-ბისა და ჯანმრთელობის ადვილობრივი ორგანოების მხრივ აღნიშნული სკოლა-ინტერნატების დაკომპლექტების ინსტრუქციის სისტემატურმა უგულებელყოფამ, ჩვეულებრივ მოვლენად აქცია იქ სრულიად ჯან-მრთელი ბავშვების გაგზავნა, რითაც ზოგან სანატორიული სკოლა-ინ-ტერნატის ფუნქცია ფაქტობრივად ერთი რაიონისა და სოფლის ჩვეუ-ლებრივი ტიპის ინტერნატისა და გახანგრძლივებული დღის სკოლის დონემდე დავიდა. აღნიშნული საკითხისადმი ტრადიციულმა უპასუ-ხისმგებლო დამოკიდებულებამ მიმდინარე სასწავლო წელსაც იჩინა თავი, რის გამოც არასაკმარისი აღმოჩნდა და სათანადო შედეგი არ მოყვა განათლების სამინისტროს მიერ მიღებულ საგანგებო ზომებს და არსებული 1660-დან 600-მდე ადგილი შეუვსებელი დარჩა და ეს მაშინ, როცა გასულ წელს პოლიკლინიკებში აღრიცხვაზე იყო აყვანი-ლი 11 ათასამდე მარტო ტუბერკულოზური დაავადების რისკის ჯგუ-ფის ბავშვი.

განათლების სამინისტროს ახალი სასწავლო წლისათვის მიცემუ-ლი გეგმა-დავალება არ შეასრულა რესპუბლიკის მრავალმა ქალაქმა და რაიონმა, მათ შორის: ქ. თბილისის რაიონების პოლიკლინიკებში აღ-რიცხვაზე მყოფი 2084 ბავშვიდან სანატორიუმში დაიგზავნა მხოლოდ 14; სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში აღრიცხვაზე მყოფი 317 ბავშვიდან გაგზავნეს 2, მახარაძის რაიონში 304-დან — 1, მიუხე-დავად იმისა, რომ ბოლნისის რაიონში აღრიცხვაზეა 222 ბავშვი, მარ-ნეთულში — 223, ყვარელში 255, თელავში — 125, გურჯაანში — 128, გარდაბანში — 195, მაიაკოვსკში — 105, არც ერთ მათგანს ერთი ბავშვიც კი არ გაუგზავნია მათთვის გამოყოფილ სკოლა-სანატორიუმში. მსგავსი მდგომარეობაა სხვა დაავადების მქონე ბავშვთა სანატორი-ულ სკოლა-ინტერნატებში გაგზავნის მხრივაც. სწორედ საქმისადმი



ასეთმა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ განსაზღვრა გასული წლის ნოემბერში გეგეჭკორის რაიონის სკოლა-ინტერნატის დახურვა.

სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატებში ამჟამად არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ხშირად იცვლებოდა მათი დაქვემდებარების სტატუსი, ხოლო რაიონის განათლების განყოფილებათა დიდმა ნაწილმა, თავის მხრივ, საჭიროდ არ ჩათვალა ან სათანადოდ ვერ შეაფასა ამ ობიექტებისადმი განსაკუთრებული ყურადღების აუცილებლობა, არ იგრძნო იქ არსებული მდგომარეობისადმი პასუხისმგებლობა და თითქმის არაფერს აკეთებდა მათი მუშაობის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვისათვის.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმისა და სკკპ 27-ე ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად არსებითად შეცვალონ იმ ბავშვებისა და მოზარდების სწავლა-აღზრდისადმი დამოკიდებულება, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოკლებული არიან ჩვეულებრივ პირობებში სწავლის შესაძლებლობას და სწავლასთან ერთად კვალიფიციურ მკურნალობას მოითხოვენ, ამ მიზნით:

ა) შესაბამისი ჯანმრთელობის ორგანოებთან ერთად მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათდამი დაქვემდებარებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მყოფი სხვადასხვა სნეულებით დაავადებისადმი მიდრეკილების მქონე და მიიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრები სუსტი ჯანმრთელობის ბავშვების შესაბამის სანატორიულ სასწავლო დაწესებულებებში დროულად გაგზავნის საქმეს. მკვეთრად გაზარდონ ამ მხრივ სკოლის დირექტორების პერსონალური პასუხისმგებლობა;

ბ) ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში გადამჭრელი ზომები მიიღონ განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი შესაბამის სანატორიულ სკოლა-ინტერნატების საგზურების დადგენილი წესის სრული დაცვით უკლებლივ ასათვისებლად, ამ მიზნით ამთავითვე გაშალონ ფართო ორგანიზატორული და განმარტებითი მუშაობა. პერიოდულად განიხილონ არსებული ვითარება და გეგმა-დავალების შესრულების შესახებ განათლების სამინისტროს მიაწოდონ ინფორმაცია 25 ივნისისა და 25 აგვისტოსათვის;

გ) ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მიაღწიონ მათ დაქვემდებარებებში მყოფი სანა-



ტორიული ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის საჭირო მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასწავლო და გამაჯანსაღებელი მუშაობის უნარიანი შეხამების ორგანიზაციას, სისტემატური კონტროლის ქვეშ იქონიონ აღსაზრდელთა კვების მდგომარეობა, განუხრელად შეასრულონ ამ საკითხზე ზემდგომი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების კატეგორიული მოთხოვნები.

2. დაევალოს სანატორიული ტიპის სატყეო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებს:

ზუსტად დაიცვან სკოლა-ინტერნატის დებულების ყველა მოთხოვნა და პედაგოგიური კოლექტივისადმი უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყონ კოლეგიის ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში აღმოფხვრა. ამ მიზნით:


ა) გულდასმით გადახედონ ინტერნატში არსებულ რეალურ მდგომარეობას და სპეციალურ პედსაბჭოზე განიხილონ აღნიშნული გადაწყვეტილება. გამოაამკარაონ არსებული ნაკლოვანებების მიზეზები, დასახონ მათ აღმოსაფხვრელად საჭირო კონკრეტული გზები, შესაბამისი ადმინისტრაციული სასჯელი დააღონ იმ მუშაკებს, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მოვლების შესრულებას. გატარებული ღონისძიებების შესახებ განათლების განყოფილებასთან ერთად ანგარიში წარმოადგინონ მიმდინარე წლის 25 მაისისათვის;

ბ) პედაგოგ-აღმზრდელთა, სამედიცინო სამსახურისა და სამეურნეო მუშაკთა მთელი საქმიანობა მტკიცედ და დაბეჯითებით დაუქვემდებარონ ინტერნატის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანის წარმატებით გადაჭრას — სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის და სამეურნალო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების უნარიან შეხამებას;

გ) არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ინტერნატში მოსწავლეთა ჩარიცხვის დადგენილი წესის დარღვევა. მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა მოსწავლეთა კონტინენტის დადგენილი გეგმის განუხრელად შესასრულებლად, ზუსტად დაიცვან ოჯახში ბავშვთა დროებით გაშვების დადგენილი წესი.

3. დამტკიცდეს რესპუბლიკის სანატორიული ტიპის სატყეო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა (თან ერთვის).

4. მიღებულ იქნეს მხედველობაში სანატორიული ტიპის ინტერნატების კოლექტივთა ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება და სანატორულ და სატყეო სკოლა-ინტერნატში კლასების დაკომპლექტების არსებული პრინციპის შეუცვლელად, ექსპერიმენტის წესით მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ:



ა). სატყეო სკოლა-სანატორიუმებში სწავლა დაიწყოს 15 ბერს, ხოლო ზაფხულის გამაჯანსაღებელი ბანაკის ყოველი ხანგრძლივობა განისაზღვროს ერთი თვით, ცალკეული მოსწავლის სურვილისამებრ ვადის გაგრძელების უფლებით;

ბ) სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატებში კლასების დაკომპლექტება მოხდეს 15 სექტემბრის მონაცემებით.

5. დაევალოს განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ფ. კავთიაშვილი) უზრუნველყოს აღნიშნული ტიპის ინტერნატებისათვის დაწესებული ნორმებით გათვალისწინებული თანხების გამოყოფა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ადგილობრივ ბიუჯეტში მათთვის ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული თანხების მიუცემლობის არც ერთი შემთხვევა. ამ ხრივ რაიონში გამოვლენილი დარღვევის ყოველი ფაქტის შესახებ სათანადო ზომების მისაღებად საკითხი დააყენოს სამინისტროს წინაშე;

ა) ერთი თვის განმავლობაში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინაშე დააყენოს საკითხი შესაბამისი რაიონების განათლების განყოფილებათა ბიუჯეტში ინტერნატული დაწესებულებებისათვის განკუთვნილი თამხების სახელდებით გამოყოფის შესახებ;

ბ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის სკოლა-ინტერნატების სამმართველოსთან ერთად შეისწავლოს და კოლეგიას წარმოუდგინოს დასაბუთებული წინადადება აღნიშნული ტიპის სკოლა-ინტერნატების განათლების სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში გადმოყვანის მიზანშეწონილობის შესახებ.

6. დაევალოს სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს (ამხ. გ. გოდერძიშვილი) უზრუნველყოს სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატების შეუფერხებელი მომარაგება მათ მიერ წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად და გაითვალისწინოს რაიონიდან შორს მყოფი ინტერნატისათვის ბენზინის ლიმიტის გაზრდა შესაძლებლობის ფარგლებში.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატები შტატით გათვალისწინებული ექიმებითა და სამედიცინო პერსონალით (პატარა ცემი, ქობულეთი, საგურამო და სხვა);

ბ) უზრუნველყოს სანატორიული შემრჩევი რაიონული კომისიებისა და ინტერნატების სამედიცინო პერსონალის მუშაობის არსებითი გაუმჯობესება და არსებული დადგენილებისა და დებულების შესაბამისად მათ მიერ სანატორიული სკოლა-ინტერნატების და კომპლექტების საკითხის მოგვარება;

ვ) მიმდინარე წლის 15 მარტამდე მოგვაწოდოს მონაცემები ნების პოლიკლინიკებში აღრიცხვაზე მყოფი დაავადებისადმი მიღრეკილების მქონე ბავშვთა რაოდენობის შესახებ.

8. დაველოდოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. გ. ვარდოსანიძე):

ა) გადაამტკიცოს ზომები მიიღოს სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატებისა და სატყეო სკოლა-სანატორიუმების ხელმძღვანელობაში წლების მანძილზე დამკვიდრებული სტილის გარდაქმნისათვის, სათანადოდ იზრუნოს მათი მუშაობის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვის, სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიოს მათ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაში;

ბ) განათლების სამინისტროს, შესაბამის სამმართველოებთან და რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროსთან შეთანხმებით დროულად ვადაში მოამზადოს და საქართველოს ტიპის სკოლა-ინტერნატებისა და სატყეო სკოლა-სანატორიუმების მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო პრობლემური ხასიათის წინადადებები.

9. გორდის სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატის მატერიალური ბაზის განმტკიცებისადმი უყურადღებობის, ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული კუთვნილი თანხის გაუცემლობის, ბავშვთა კვების ორგანიზაციის ჩაშლისა და სასწავლო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ ეცნობოს საქართველოს კვ წულუკიძის რაიკომს და ეთხოვოს განიხილოს რაიონის განათლების განყოფილების გამგისა და სკოლა-ინტერნატის დირექტორის აღნიშნულ თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი.

10. პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის მატერიალური ბაზის უვარგისობისა და მისი განმტკიცებისათვის განათლების განყოფილებისა და სკოლა-სანატორიუმის ხელმძღვანელობის მხრივ ქმედითი პრაქტიკული ღონისძიებების გაუტარებლობის შედეგად სასწავლო და გამაჯანსაღებელ მუშაობაში არსებული ცუდი ვითარების შესახებ ეცნობოს საქართველოს კვ ბორჯომის რაიკომს და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ეთხოვოს განიხილოს აღნიშნული საკითხი და ამასთანავე სათანადო ზომები მიიღოს განათლების განყოფილების გამგისა და სატყეო სკოლის დირექტორის მიმართ.

11. აღინიშნოს ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მახარაძის, მარნეულის, თელავის, გურჯაანის, მაიაკოვსკის, ყვარლის, ვარდახის, ბოლნისის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების არადაამაჟანსაღებელი მუშაობა სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატებში მოს-




წავლეთა გაგზავნის დავალების შესასრულებლად და გაფრთხილებულია, რომ თუ ისინი მომავალ სასწავლო წლებშიც მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდებიან ამ საქმეს, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება შემოწმდეს II კვარტალის ბოლოს და კონტროლი მის შესრულებაზე დაევალოს განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. ი. გაგუას.

13. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში, აგრეთვე დაეგზავნოს: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს კვ წულუკიძისა და ბორჯომის პარტკომებს, წულუკიძის, ბორჯომის, ხაშურის, წალენჯიხის, ქობულეთის რაიონების განათლების განყოფილებებს და შესაბამის სანატორიულ ინტერნატებს განათლების სამინისტროს ინტერნატებისა და საბავშვო სახლების, საგვემო-საფინანსო. კაპიტალური მშენებლობისა და მომარაგების მთავარ სამმართველოებს.

**კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე**



რესპუბლიკის სანატორიული ტიპის სატყეო სკოლებისა და ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სასწავლო-აღმწერდელითი და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა

I. გორდის სანატორიული სკოლა-ინტერნატი

1. სასწავლო და საძინებელი კორპუსების კაპიტალური შეკეთება.
წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილება.
1987 წ.
2. სამეურნეო ნაგებობათა კაპიტალური რემონტი, გათბობის სისტემის რეკონსტრუქცია. ეზოს კეთილმოწყობა.
წულუკიძის განათლების განყოფილება, ინტერნატის შეფიორგანიზაცია და ღირექცია.
1987 წ.
3. საჭირო რაოდენობის სასწავლო და საყოფაცხოვრებო მოხმარების მაგარი და რბილი ინვენტარის შეძენა.
სახალხო განათლების განყოფილება, ინტერნატის ღირექცია.
1987 წ.
4. სამედიცინო ბლოკის შევსება დანადგარ-მოწყობილობით და ინვენტარით.
განათლების განყოფილება, ინტერნატის ღირექცია ჯანდაცვის შესაბამის სამსახურთან ერთად.
1987 წ.
5. კვების ბლოკის აღჭურვა შესაბამისი ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობითა და ინვენტარით.
განათლების განყოფილება, ინტერნატის ღირექცია.
1987 წ.
6. აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მომარაგებისა და ნორმით გამოყოფილი თანხების უკლებლივ ათვისების უზრუნველყოფა.
განათლების განყოფილება, ინტერნატის ღირექცია.
სისტემატურად
7. მაგარი და რბილი ინვენტარის მარკირების, აღრიცხვისა და გაცემის სრულწესრიგში მოყვანა.
სკოლა-ინტერნატის ღირექცია, კონტროლი განათლების განყოფილების
1987 წლის I კვარტალი

II. პატარა ცემის საბჭო სკოლა-სანატორიუმი

1. სკოლის სასწავლო და საძინებელი ოთახების კაპიტალური შეკეთება.
ბორჯომის განათლების განყოფილება, ინტერნატის ღირექცია.
1987 წლის სექტემბერი
2. ფინური ბინების აწყობა და მასწავლებელთა საცხოვრებლად გამოყენება.
ბორჯომის განათლების განყოფილება, ინტერნატის ღირექცია.
1987 წლის III კვარტალი
3. კვების ბლოკის კაპიტალური შეკეთება და აღჭურვა შესაბამისი ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობითა და ინვენტარით.

ბორჯომის განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია.
1987 წლის III კვარტალი

4. სამედიცინო კაბინეტის შეესება ინვენტარ-მოწყობილობითა და მედიკამენტებით.

განათლების განყოფილება, ჯანდაცვის შესაბამისი სამსახური სკოლის დირექცია.

1987 წ. II კვარტ.

5. სამედიცინო პერსონალით სკოლის დაკომპლექტება.

განათლების განყოფილება, ჯანდაცვის შესაბამისი სამსახური, სკოლის დირექცია.

1987 წლის II კვარტალი

6. საჭირო რაოდენობის მაგარი და რბილი ინვენტარის დროულად შექენა.

განათლების განყოფილება, სკოლის დირექცია.

სისტემატურად

7. ეზოს შემოღობვა და კეთილმოწყობა.

განათლების განყოფილება, სკოლის დირექცია.

1987 წლის III კვარტალი

8. სასწავლო, სამედიცინო და სააღრიცხვო დოკუმენტაციის წესრიგში მოყვანა.

განათლების განყოფილება, სკოლის დირექცია.

1987 წლის I კვარტალი

9. აღსაზრდელთა ნორმალური კვების ორგანიზაცია.

განათლების განყოფილება, სკოლის დირექცია.

სისტემატურად

10. სკოლასთან დამაკავშირებელი სატელეფონო კავშირის აღდგენა და ელექტროგადამცემი ხაზის კაპიტალური შეკეთება.

განათლების განყოფილება, სკოლის დირექცია.

სისტემატურად

III. ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატი

1. საძილე და სამეურნეო კორპუსების კაპიტალური შეკეთება. ცხელი წყლისათვის ახალი ქვების დამონტაჟება.

ბორჯომის განათლების განყოფილება, სკოლის დირექცია.

1987 წლის III კვარტალი

2. სამედიცინო კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის აპარატურის შექენა და დამონტაჟება.

განათლების განყოფილება, სკოლის დირექცია.

1987 წლის I კვარტალი

3. ნორმით გათვალისწინებული მაგარი და რბილი ინვენტარის დროულად შექენა.

განათლების განყოფილება, სკოლის დირექცია.

1987 წლის მანძილზე

4. მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის შეკეთება.

განათლების განყოფილება, სკოლის დირექცია.

1987 წლის მანძილზე

5. სკოლა-ინტერნატის დებულების შემუშავება-დამტკიცება სამინისტროს კოლეგიის სტდომავზე.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო.

1987 წლის II კვარტალი

6. აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის მოწესრიგება დაავადების პროფილის შესაბამისად.

განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია.
ამთავითვე



IV. ტაშისპარის სანატორიული სკოლა-ინტერნატი

1. სასწავლო, საძინებელი და სამეურნეო კორპუსებისათვის მიმდინარე შეკეთების ჩატარება.

ხაშურის განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია.
1987 წლის III კვარტალი

2. სამედიცინო კაბინეტის, იზოლატორისა და ჰიგიენის ოთახის რემონტი — კეთილმოწყობა.

ხაშურის განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია,
1987 წლის III კვარტალი

3. ნორმით გათვალისწინებული მაგარი და რბილი ინვენტარის შეძენა, მარკირებისა და აღრიცხვის მოწესრიგება.

ხაშურის განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია,
სისტემატურად

4. ეზოს კეთილმოწყობა, ეზოს გზების შავი საფარის განახლება.

ხაშურის განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია,
1987 წლის II კვარტალი

5. ინტერნატის თხევადი საწვავით გათბობაზე გადაყვანის ორგანიზაცია.

ხაშურის განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია,
1987 წლის III კვარტალი

6. აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მომარაგებისა და ნორმით გამოყოფილი თანხების უკლებლივ ათვისების უზრუნველყოფა.

ხაშურის განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია,
სისტემატურად

V. წალენჯიხის სანატორიული სკოლა-ინტერნატი

1. სასწავლო კორპუსის, საძინებლის, სასადილოს მიმდინარე შეკეთება.

განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია.
1987 წლის III კვარტალი

2. სასწავლო კორპუსში სველი წერტილების აღდგენა და კანალიზაციის ქსელზე მიერთება.

განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია.
1987 წლის II კვარტალი

3. ეზოს კეთილმოწყობა, მასზე უმცროსი ასაკის ბავშვთა სათამაშო მოედნის მოწყობა.

განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია.
1987 წლის II კვარტალი

4. ნორმით განკუთვნილი მაგარი და რბილი ინვენტარის დროულად შეძენა, აღრიცხვისა და მარკირების ორგანიზაცია.

განათლების განყოფილება, ინტერნატის დირექცია,
სისტემატურად

5. სამედიცინო კაბინეტის საჭირო დანადგარ-მოწყობილობით აღჭურვა და მედიკამენტებით უწყვეტი მომარაგება.

განათლების განყოფილება, სკოლა-ინტერნატის დირექცია,
ჯანდაცვის შესაბამისი სამსახური.

სისტემატურად



6. აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესება, პროდუქტებით გაყვანილობის გაუმჯობესება, გამოყოფილი თანხების ათვისება.

განათლების განყოფილება. სკოლა-ინტერნატის ღირებულება, ჯანდაცვის შესაბამისი სამსახური.
სისტემატურად

VI. საბჭოთაშორის სანატორიული სკოლა-ინტერნატი

1. საძინებელ და სასწავლო კორპუსებში დარჩენილი სარემონტო სამუშაოების დამთავრება, საძინებელში ცხელი წყლის შეყვანა.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, სკოლა-ინტერნატის ღირებულება.
1987 წლის I კვარტალი

2. სამედიცინო ბლოკის კაპიტალური მშენებლობის არსებული ახალი სამედიცინო აპარატურის დამონტაჟება.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, სკოლა-ინტერნატის ღირებულება.
1987 წლის I კვარტალი

3. კვების ბლოკში და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებში კაპიტალური რემონტის ჩატარება.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, სკოლა-ინტერნატის ღირებულება.
1987 წლის I კვარტალი

4. ეზოს შემოღობვა და კეთილმოწყობა.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, სკოლა-ინტერნატის ღირებულება.
1987 წლის I კვარტალი

5. ნორმით დადგენილი მაგარი და რბილი ინვენტარის დროულად შექმნა.

საგემო-საფინანსო სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო, სკოლის ღირებულება.
1987 წლის მანძილზე

6. აღსაზრდელთა კვების შეუფერხებელი მომარაგება.

სკოლა-ინტერნატის ღირებულება
1987 წლის მანძილზე

7. სამკურნალო ფიზკულტურის მოედნების მოწყობა.

სკოლა-ინტერნატის ღირებულება.
1987 წლის მანძილზე

VII. ქობულეთის საბავშვო სკოლა

1. სასწავლო და საძინებელი კორპუსების კაპიტალური რემონტი და სააქტო დარბაზის ბრტყელი გადახურვის დამრეცი სახურავით შეცვლა.

ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილება, შვიდი ორგანიზაცია, სკოლის ღირებულება.
1987—1988 სასწავლო წელი

2. გათბობის, განათების, კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის სისტემების რეკონსტრუქცია.

ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილება, შვიდი ორგანიზაცია, სკოლის ღირებულება.
1987 წ.

3. ნორმით განკუთვნილი მაგარი და რბილი ინვენტარის დროულად შექმნა.

ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილება, შვიდი ორგანიზაცია, სკოლის ღირებულება.
სისტემატურად



**მასწავლებელთა საქალაქო და რაიონული კონფერენციების
შედეგებისა და საქართველოს მასწავლებელთა მმ-6
ყრილობისათვის მზადების მიმდინარეობის
შესახებ**

27 იანვარი 1987 წელი

კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიებისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის (1987 წლის 4 იანვრის № 1-7/1 და 1986 წლის 23 დეკემბრის № 1 § 7, პუნქტ. № 21) ერთობლივი დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა მალალ, ორგანიზებულ დონეზე ჩაატარეს წინასაყრილობო სამუშაოები.


ყრილობის მოსამზადებელი სამუშაოების მალალ, ორგანიზებულ დონეზე ჩატარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ყრილობის ყრილობის მომზადების საორგანიზაციო კომიტეტმა და შტაბმა; მუშა ჯგუფებში დროულად განისაზღვრა ყრილობის მომზადების პირველი ეტაპის სამუშაოები; დამტკიცდა ყრილობაზე მოსაწვევ წარმომადგენლობათა რაოდენობა, შედგენილია ყრილობის მომზადებისა და ჩატარების ხარჯთაღრიცხვა და სხვ.

ყრილობის მომზადების საორგანიზაციო კომიტეტის გეგმის თანახმად 1987 წლის 4-5 იანვარს ჩატარდა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური საბჭოების გაფართოებული სხდომები, ხოლო რაიონული (საქალაქო) კონფერენციები — 8-9 იანვარს.

პედაგოგიური საბჭოების გაფართოებულ სხდომებზე პარტიული პრინციპულობით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით გაანალიზდა სკოლის ცხოვრებაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებანი, მეოთხედურ სისტემაზე გადასვლა და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების შემოღება. აღინიშნა სკოლების მუშაობაში წარმატებები და ნაკლოვანებები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შემოქმედებითად მომუშავე მასწავლებელთა გამოცდილების, მათი ძიებისა და ლიახლების შედეგების დანერგვას.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მოსწავლეთა ცოდნის სრულყოფის საქმეში პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, ხაზი გაესვა მოსწავლეთა ინტერესების ამაღლებას პროგრამული მასალის ათვისების საქმეში.

რაიონულ (საქალაქო) კონფერენციებზე განსაკუთრებულად გამოიკვეთა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყურად-



ლება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საკითხებისადმი მნიშვნელოვნად განმტკიცდა სასწავლო დაწესებულებებში ტერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლურ შრომაში მონაწილეობა; მთელ რიგ რეგიონებში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მოსწავლეთა შრომით აღზრდას და პროფესიულ მომზადებას; გაუმჯობესდა ექვსწლიანებთან მუშაობის პირობები; კონფერენციებზე ხაზი გაესვა მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული, ინტერნაციონალური, ესთეტიკური აღზრდის პრობლემურ საკითხებს. მნიშვნელოვანი ძვრები აღინიშნა მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი, მასობრივ-სპორტული და სხვა მუშაობის სფეროში. რეფორმის მოთხოვნათა შუქზე გაფართოვდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი; მათთვის ძილის მოწყობის ორგანიზაცია; გაიზარდა კვების ქსელში მოსწავლეთა დასაჯდომი ადგილების რაოდენობა.

15957

მოსწავლებელთა რაიონულ (საქალაქო) კონფერენციებზე საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის სტილისა და მეთოდების, სრულყოფის შესახებ ნოვატორული ძიების დაწერვის გზით მუშაობის გარდაქმნისა და დაჩქარების, სტრატეგიული ამოცანების განხორციელების, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის საკითხებზე.

კონფერენციებზე გამოიკვეთა, რომ ამ ბოლო დროს სასწავლო დაწესებულებებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გააქტიურდა ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ამაღლდა მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა.

ამასთან, კოლეგიას მიაჩნია, რომ სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნებს.

მთელ რიგ რეგიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების აქტუალურ საკითხებს.

ძირულ გაუმჯობესებას მოითხოვს მთელი რიგი რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის, სამხედრო-პატრიოტული, სამართლებრივი და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებისადმი მიდგომა.

დასახვეწია კადრებთან მუშაობის, შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სტილი და მეთოდები.

აღმოსაფხვრელია პედაგოგიურ კოლექტივებში სახელმწიფო შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის უხეში დარღვევის, მოსწავ-



ლეთა ცოდნის არაობიექტურად შემოწმება-შეფასების, ლიბერალური
სა და პროტექციონიზმის ფაქტები.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. საქართველოს სსრ მასწავლებელთა მე-6 ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტმა, ყრილობის მოსამზადებელმა შტაბმა:

1. 1. გაააქტიურონ მუშაობა გეგმით გათვალისწინებული საკითხების დადგენილ ვადებში შესასრულებლად.

1. 2. შტაბის მუშა ჯგუფების ცალკეულმა ხელმძღვანელებმა კვირაში ერთხელ საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებს, გაუკეთონ ინფორმაციები ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. თხზუეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2. 1. მასწავლებელთა იანვრის კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების ანალიზის, საფუძველზე 1987 წლის 10 თებერვლამდე დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

2. 2. შეიმუშაონ საქართველოს მასწავლებელთა მე-6 ყრილობისა და საკავშირო ყრილობის ღირსეულად შეხვედრის კონკრეტული პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დაუდონ სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებები; პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით ყველა ზომა გაატარონ საბაზო და საშეფო ორგანიზაციებთან ერთად სასკოლო რეფორმის მე-სამე წლის ამოცანების შესრულებისათვის.

3. სამინისტროს აპარტის სამმართველო-განყოფილებებმა განიხილონ მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა იანვრის კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები (თან ერთვის) და მათი ანალიზის საფუძველზე დასახონ და განახორციელონ სასკოლო მუშაობის სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი; 1987 წლის 25 თებერვლამდე უპასუხონ ყველა კრიტიკული შენიშვნისა და წინადადებების ავტორებს; 1987 წლის 20 აპრილამდე წარმოადგინონ ინფორმაციები გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების შესახებ.

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები



გ. კურტანიძე — ორჯონიძის რაიონის სოფელ მარელის საშუალო სკოლის მასწავლებელი. **ლ. გაბრავა** — ხობის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი ეთხოვს განათლების სამინისტროს გამოსცეს ავტოსაქმისა და ტრაქტორის სწავლებისათვის ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები.

სახელმძღვანელოების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ნ. ორდენიძე — გორის რაიონის სოფელ ატენის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი, **ნ. ბელაყნიშვილი** — ყვარლის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი, **ნ. წიკლაური** — კასპის რაიონის სოფელ გრაკლის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.

დაბალია სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული დონე.
სახელმძღვანელოების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

მ. კონსტანტინოვა — ხაშურის მე-5 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე. ეთხოვს განათლების სამინისტროს ხელახლა გამოსცეს წიგნები „აისი“ და „იზარდ მწვანე ჭეჭილო“ საბავშვო ბაღებისათვის.

სახელმძღვანელოების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

გ. ზურციძე — ქ. ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. სკოლები დროულად არ მარაგდებიან სასწავლო პროგრამებით.

სახელმძღვანელოების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ს. სარფიანი — გუდაუთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე. ბომბირის საშუალო სკოლას სექტემბრიდან არ მიუღია სახელმძღვანელოები და სასწავლო პროგრამები ექვეწლიანებისათვის.

სახელმძღვანელოების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

მ. ნოზაძე — ქ. რუსთავის მე-2 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი, **უ. შონია** — ქ. ფოთის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელი, **მ. ეგვსროვა** — გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის საშუალო სკოლის მასწავლებელი დასახვეწია მშობლიური ენისა და მათემატიკის სახელმძღვანელოები დაწყებითი კლასებისათვის, დაბალია მათი გაფორმებისა და აკინძვის ხარისხი.

სახელმძღვანელოების სამმართველო
შესრულების ვადა 5.02.87

რ. მარგალიტაძე — ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

რუსული ენის მასწავლებლები მეთოდური ლიტერატურისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ნაკლებობას განიცდიან, შესაცვლელია 9-10 კლასების რუსული ენის სახელმძღვანელო.

სახელმძღვანელოების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ც. გურჯიძე — ქობულეთის მე-7 საშუალო სკოლის მასწავლებელი. გადამუშავებას საჭიროებს მათემატიკის სახელმძღვანელოები დაწყებითი კლასებისათვის. მასწავლებლებს არა აქვთ დამხმარე ლიტერატურა სახვით ხელოვნებასა და შრომით სწავლებაში.

სახელმძღვანელოების სამმართველო
შესრულების ვადა 5.02.87



რ. ანასაშვილი — ჰიათურის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგე.
მეთევქლასელთათვის დროულად იქნეს მოწოდებული სახელმძღვანელოებზე ფორმატიკასა და გამოთვლით ტექნიკაში.

სახელმძღვანელების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ლ. კოვალიოვა — საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
საჭიროა ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლებისათვის შეიქმნას დამხმარე და თვალსაჩინო მასალები.

სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

თ. ჯიშიაშვილი — ბორჯომის რაიონის სოფელ ზანაის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი
ეთხოვოს განათლების სამინისტროს გამოსცეს მათემატიკის სახელმძღვანელოები ახალი პროგრამის მიხედვით.

სახელმძღვანელოების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

შ. ხარბავა — ხობის რაიონის განათლების განყოფილების გამგე
სკოლის მუშაობას ზიანს აყენებს ღირებულებებისა და რუსული ენის მასწავლებელთა (კვალიფიკაციის ამაღლების) ორთვიანი კურსები, საკმარისია ერთთვიანი კურსები.

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, კადრების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ა. ჯყაბაძე — გორის რაიონის სოფელ დიცის საშუალო სკოლის ღირებულორი არ იბეჭდება მეთოდური ხასიათის წერილები ღირებულორის მუშაობის შესახებ.

სკოლების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

მ. სავანელიძე — გორის რაიონის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი.
ფიზიკის ამოცანათა კრებული არ შეესაბამება სახელმძღვანელოს.

სკოლების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ე. მიტაორიდი — სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი
ეთხოვოს განათლების სამინისტროს, გაადიდოს სასწავლო გეგმაში ბერძნულ ენაში საათების რაოდენობა.

სკოლების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ე. ქურციკიძე — ჰიათურის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი
პროგრამას არ შეესაბამება სახელმძღვანელო საზოგადოებრივმცოდნეობასა და ბიოლოგიაში.

სკოლების სამმართველო
შესრულების ვადა 05.02.87

ც. ლომიძე — საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

დახვეწას საჭიროებს ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები; საჭიროა დამხმარე სახელმძღვანელო.

სკოლების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

შ. ოზაშვილი — წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგე.
ზონალური ოლიმპიადები თელავში იმართება, კარგი იქნებოდა თუ გურჯაანში გადმოვიტანდით.

სკოლების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

უ. შონია — ფოთის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
საჭიროა სასკოლო ჟურნალების სრულყოფა.

სკოლების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

გ. დელიანოვი — ფოთის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
დროულად არ გვაწვდიან სასწავლო პროგრამებს.

სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

გ. ჭაყელი — წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

მცირე ტირაჟით გამოდის მეთოდური ლიტერატურა უცხო ენის მასწავლებელთა დასახმარებლად.

სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ს. სეფიაშვილი — გორის რაიონის სასწავლო-საწარმოო კომბინატის დირექტორი.
სასწავლო-საწარმოო კომბინატის მასწავლებელთათვის მოეწყოს დახელოვნების კურსები.

სკოლების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების
ცენტრალური ინსტიტუტი
შესრულების ვადა 20.02.87

ნ. გიუაშვილი — მცხეთის რაიონის სოფელ თელოვნის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი

ნ. წიკლაური — ვასპის რაიონის სოფელ გრაკლის დაწყებითი სკოლის გამგე.
მოეწყოს სპეციალური კურსები კლასკომპლექტებში მომუშავე მასწავლებელთათვის.

სკოლების სამმართველო
მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი,
შესრულების ვადა 20.02.87

მ. კაჯილაძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი.

ძალზე ცოტაა მეთოდური ლიტერატურა პიონერხელმძღვანელებისათვის.

აღმზრდელითი მუშაობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ც. ბაკურაძე — ქ. ტყიბულის ალკ კომიტეტის მდივანი.

ნება დაერთოთ საშუალო განათლების მქონე პირებს იმუშაონ პიონერხელმძღვანელებად მაღალმთიან სოფლებში.

აღმზრდელითი მუშაობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

გ. მაჭარაშვილი — ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.
რაიონისათვის საჭიროა ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების გახსნა.

აღმზრდელითი მუშაობის სამმართველო
შესრულების ვადა 05.02.87

ნ. კალანდია — ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

გვჭირდება ფიზალზრდის, ზოგადტექნიკური და რუსული ენის მასწავლებლები.
კადრების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

დ. ხაჩიძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ღორეშის საშუალო სკოლის დირექტორი.

სკოლებში დიშვას ლაბორანტისა და ბიბლიოთეკარის შტატი კლასთა რაოდენობის მიუხედავად.



კადრების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

კოპაძე — ცხინვალის რაიონის სოფელ კურტიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

კომუნალური მომსახურების მიზნით მასწავლებლებს წელიწადში 70 მანეთი ეძლევათ, რაც საკმარისი არ არის მასწავლებელთა გათბობის უზრუნველყოფისათვის.

კადრების სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ნობის რაიონის სოფელ ხორგის რეაწლიანი სკოლის დირექტორი, სოფელ ხორგის რეაწლიან სკოლას კაპიტალური რემონტი სჭირდება.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ლ. ბესიშვილი, გ. გეჯაძე — ხობის № 1 ბაგა-ბაღის აღმზრდელები. ხობის № 1 ბაგა-ბაღი მუსიკალური და სპორტული დარბაზების მიშენებას საჭიროებს.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

კ. მრევლიშვილი — მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი. მცხეთის რაიონის სასწავლო-საწარმოო კომბინატი მოთავსებულია ძველ შენობაში და რეკონსტრუქციას საჭიროებს, ეთხოვოს განათლების სამინისტროს ამ მიზნით გამოყოს საჭირო თანხები.

საგეგმო-საფინანსო სამმართველო
შესრულების ვადა 05.02.87

ნ. გრიგალაშვილი — ტაშისკარის სკოლა-ინტერნატის დირექტორი. ეთხოვოს განათლების სამინისტროს გამოყოს თანხა ტაშისკარის სკოლა-ინტერნატის კაპიტალური რემონტისათვის.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.07.87

ა. იმნაძე — გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების გამგე. ეთხოვოს განათლების სამინისტროს დააჩქაროს სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის სასკოლო შენობის დაბრუნება და მშენებლობა.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.07.87

მ. უფუფნაძე — ახალციხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე. ეთხოვოს განათლების სამინისტროს, გაითვალისწინოს ახალი სასკოლო შენობების მშენებლობა სოფლებში აცკურში გურჯელსა და ნაოხრებში, მე-5 საშუალო სკოლისათვის — ახალციხეში, ვინაიდან ძველი შენობები ავარიულ მდგომარეობაშია.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.07.87

ნ. ბედოევა — ლენინგორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე. სოფელ ირჩესის საშუალო სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. სასწრაფოდ საჭიროა გეგმაში ჩაისვას მისთვის ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ტ. ჯანჭღავა — წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე. ეთხოვოს განათლების სამინისტროს, 1987 წელს გადაწყვიტოს სოფელ კვალის საშუალო სკოლის დაბრუნების საკითხი.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ა. ღონდაძე — საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლის დირექტორი. დასავლეთ. საქართველოს პირობებში მიზანშეუწონელია შენობის ბრტყელი გა-

დახურვა, ვინაიდან სახურავიდან წყალი ჩამოდის, ამდენად. შესაცვლელია ხურვის სისტემა.



კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

5. ქანტურია — საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე.
შესადგენია ძველი პროექტებით აშენებულ შენობებზე მიშენების ტექნიკური დოკუმენტაცია, სადაც გათვალისწინებული იქნება გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის საჭირო ოთახები და სკოლისათვის საჭირო ყველა სათავსო.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.07.97

6. ქანტურია — საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე.
ეთხოვოს განათლების სამინისტროს მიმდინარე ხუთწლედის გეგმაში გათვალისწინოს დუზაგრამის, საგარეჯოს მე-3 და ბაღდაურის საშუალო სკოლების შენობების რეკონსტრუქცია და ახალი კორპუსების მიშენება.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 15.02.87

ა. ველიჯანაშვილი — ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბაგრის საშუალო სკოლის დირექტორი.

სოფელ ხიზაბაგრის საშუალო სკოლისათვის საჭიროა სპორტდარბაზის, სააქტო დარბაზისა და ოთახების მიშენება.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

რ. თედიაშვილი — ბორჯომის რაიონის სოფელ დვირის საშუალო სკოლის დირექტორი.

სასწავლო დღეებში ჯანმრთელობის დღეების შემოღებას დეზორგანიზაცია შეაქვს სკოლის მუშაობაში.

ფიზიკური აღზრდის და სპორტის სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

5. წერეთელი — ქიათურის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.
ეთხოვოს განათლების სამინისტროს, ნება დაგვართოს საბავშვო ბაღებში გაცხსნათ ექვსწლიანთა 1-ლი კლასები 25-ზე ნაკლები მოსწავლით.

საგეგმო-საფინანსო სამმართველო
შესრულების ვადა 5.02.87

6. წერეთელი — ქიათურის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.
ასეთივე კონტინგენტით დაკომპლექტდეს 6 წლიანთა გახანგრძლივებული ჯგუფები.

საგეგმო-საფინანსო სამმართველო
შესრულების ვადა 5.02.87

ი. ფოჩხიძე — ქ. ქუთაისის აგტოქარხნის რაიონის მე-12 ბაგა-ბაღის მეთოდისტი.
ეთხოვოს განათლების სამინისტროს დახმარება გაგვიწიოს ნოვოროსისისკის ავეჯის შექმნაში.

მომარაგების მთავარი სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

6. რუსაძე — ქ. ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.
სკოლები არ მარაგდება დაწყებითი კლასების შრომის კაბინეტებისათვის საჭირო ინვენტარით.

მომარაგების მთავარი სამმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

მ. ჯორჯა — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგილის რაფლიანი სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგე.
თბილისის მომარაგების ბაზიდან გაიცეს საქონელი ინკასოს წესით.

მომარაგების მთავარი სამმართველო

შესრულების ვადა 10.02.87

მ. ხაზარაძე — ინგოლის მე-2 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი
ქ. ზუგდიდში გაიხსნას თვალსაჩინოების მალაზია.

მომარაგების მთავარი საიმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ვ. გოგოლაური — დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.
დუშეთის რაიონის მთელი რიგი სკოლები მიშენებას საჭიროებენ. ასაშენებელია ახალი საშუალო სკოლა.

მომარაგების მთავარი საიმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ა. ცანავა — აბაშის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.
მომარაგდეს დაწყებითი კლასები შესაბამისი ინვენტარით (მათ შორის დახატული დაფებით).

მომარაგების მთავარი საიმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

თ. გაგნიძე — ქარელის რაიონის განათლების განყოფილების გამგე,

ტ. ჭანჭღავა — წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე,

კ. ცქვიტია — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხივის საშუალო სკოლის დირექტორი.

ამა წლის I კვარტალში გამოგვეყოს გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტი.

მომარაგების მთავარი საიმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ტ. ჭანჭღავა — წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

ეთხოვოს განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს დაგვეხმაროს სპორტული ინვენტარისა და ექვსწლიანი ბავშვებისათვის შესაფერისი ინვენტარის შექმნაში.

მომარაგების მთავარი საიმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ა. შველიძე — ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი,

ვ. მატეოსიანი — ქ. ახალციხის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი,

ო. კეთილაძე — წყალტუბოს საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მომარაგების მთავარი საიმართველო
ეთხოვოს განათლების სამინისტროს, შრომითი სწავლებისათვის გამოგვეყოს

საკმაო რაოდენობის ქსოვილი და სხვა მასალა.

შესრულების ვადა 10.02.87

კ. სნჩხიანი — ახალქალაქის განათლების განყოფილების გამგე.

ახალქალაქის განათლების განყოფილება და მეთოდური კაბინეტი ავტომანქანის გამოყოფას მოითხოვენ.

მომარაგების მთავარი საიმართველო
შესრულების ვადა 10.02.87

ა. ღონაძე — საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლის დირექტორი.

რაიონში არაგვემითრად ზღვება სასწავლო ინვენტარისა და სასწავლო თვალსაჩინოების შემოზიდვა. მომწოდებელი ორგანიზაციები უკუღმებელყოფენ განყოფილების შეკვეთებს და საქონელს გვაწვდიან თავიანთი შეხედულებისამებრ.

მომარაგების მთავარი საიმართველო
შესრულების ვადა 5.02.87

მ. პაპიძე — წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ც. გარშაულაშვილი — ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი.

ერთი სკოლა მიიწვადიან ადიუტრის ელექტროგამომთვლელი ტექნიკით.

მომარაგების მთავარი საიმართველო
შესრულების ვადა 15.02.87



გ. ღარჩია — მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის საშუალო სკოლის დირექტორი.
 ეთხოვს განათლების სამინისტროს გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის კაბინეტების მოწყობილობების გამოყოფა.

მომარაგების მთავარი სამმართველო
 შესრულების ვადა 15.02.87

ა. ხომერკი — ფოთის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელი.
 სასურველია ქ. ფოთში გაიხსნას თვალსაჩინოების მაღაზია.

მომარაგების მთავარი სამმართველო
 შესრულების ვადა 20.02.87

ი. ქუთათელაძე — წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილების ფილმოთეკის გამგე.
 თვალსაჩინოების ქუთაისის საბაზო მაღაზია მომარაგების ტექნიკურ საშუალებათა სათადარიგო ნაწილებით მომარაგდეს.

მომარაგების მთავარი სამმართველო
 შესრულების ვადა 10.02.87

ნ. არაბული — ახმეტის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი.
 დაწყებით კლასებში საპროგრამო მასალების შესაბამისად არ გვაქვს თვალსაჩინოება, ფილმები.

მომარაგების მთავარი სამმართველო
 შესრულების ვადა 5.02.87



**О МЕРОПРИЯТИЯХ, ПРОВОДИМЫХ ДЛЯ УЛУЧШЕНИЯ
ДАЛЬНЕЙШЕЙ РАБОТЫ В ЛЕСНЫХ ШКОЛАХ
И ШКОЛАХ-ИНТЕРНАТАХ САНАТОРНОГО ТИПА
РЕСПУБЛИКИ**

27 января 1987 года

Коллегия отмечает, что в начале текущего учебного года в системе министерства просвещения функционировало восемь расположенных в курортных местах интернатских учреждений санаторного типа на 1660 мест. Большинство из них, проводя определенные мероприятия среди отличающихся слабым здоровьем детей, живущих в тяжелых экономических условиях, вместе с общеоздоровительным лечением и специфической химиопрофилактикой, в основном, успешно справляются с осуществлением общеобразовательных задач. Однако, наряду с этим, в их работе все еще имеются существенные недостатки и нарушения, как в учебно-воспитательной части, так и деле совершенствования материально-технической базы, отбора контингента учащихся, медицинского обслуживания, организации питания и соблюдения санитарно-гигиенических норм.

